ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N25

სხდომის ჩატარების დრო:
30 მაისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

- მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, კობა გურული.

სულ: 10 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი **ანტონ ჩიხლაძე.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შენგელია,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გია ბასილაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი

ლამა **გვენეტაძე**, ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე**, საკრებულოს წევრი **ელეონორა არჩაია.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ზატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ;

2.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით - (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეტლინკისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე პავლე ასათიანისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 თებერვლის N360 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

7. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის N377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის [illegible].

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ანტონ ჩიხლაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ა.ჩიხლაძემ** აქვე განმარტა: „2022 წელს ფინანსები შეადგენდა 84 მილიონ ლარს, ჩამოვთვლი პროექტებს, რომლების განხორციელდა საპილოტე რეგიონების პროგრამის ფარგლებში: 27 მილიონად შეფასებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (6

ობიექტი), ფასადების რეაბილიტაცია-9 ობიექტი ჯამში 2,200 მილიონი, ურბანული განვითარება-8,5 მილიონი, რეკრეატიული ინფრასტრუქტურა -3 ობიექტი, 3,5 მილიონი, მუნიციპალური ტრანსპორტი და სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგება, კერძოდ, 125 ობიექტზე მოეწყო საინფორმაციო დაფები- 4,5 მილიონი, რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელ პროექტებს რაც შეეხება, საგზაო ინფრასტრუქტურაზე დაიხარჯა 4 მილიონი(9 ობიექტი), ფასადების რეაბილიტაცია-2 ობიექტი რომელთაგან ერთი დასრულებულია, ხოლო მეორეზე კონტრაქტორს გავუწყვიტეთ ხელშეკრულება და თავიდან ვგეგმავთ ტენდერის გამოცხადებას, ლიფტების რეაბილიტაცია-17 ობიექტი ჯამში 270000 ლარის ღირებულების, 362 სადარბაზოს რეაბილიტაცია-1,300 მილიონი, სკვერების რეაბილიტაცია-883000 ლარი, სანიაღვრე სისტემა-360000, სპორტული ინფრასტრუქტურა-595000 ლარი."

კომისიის წევრი ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „რომელ სპორტულ ობიექტზეა საუბარი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ანტონ ჩიხლაძე:** „უნივერსიტეტის დარბაზში, კლდეზე ცოცვის კუთხის მოწყობას გულისხმობს ეს პროექტი, რაც შეეხება ადგილობრივი სახსრებით განსაზღვრული 20 მილიონიდან განხორციელებულ სამუშაოებს: საგზაო ინფრასტრუქტურა-9 ობიექტი 1.900 მილიონის ღირებულების, სანიაღვრე სისტემა 3 ობიექტი-720000 ლარი, საყრდენი კედლების მშენებლობა-26 ობიექტი-805000 ლარი, 2 ერთეული ადმინისტრაციული ორგანოს მშენებლობა-715000 ლარი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-25 ობიექტი-800 000 ლარი, ურბანული განახლება, კერძოდ, ფასადები-7 ობიექტი-1,600 მილიონი, რეკრეატიული ინფრასტრუქტურა-12 ობიექტი-2,5 მილიონი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა-27 ობიექტი-2.4 მილიონი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების პარაპეტების რეაბილიტაცია-20 ობიექტი-131000 ლარი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია-94 ერთეული-1 მილიონი, დაზიანებული სახურავების შეკეთება თანადაფინანსებით-185 ობიექტი-1,380 მილიონი, თავისუფალი ინიციატივების ფარგლებში-6 ობიექტი-958000, სტიქია-340 000, ახლა გაგაცნობთ ობიექტებს, სადაც გავწყვიტეთ სამუშაოები არაჯეროვნად შესრულების გამო, შპს ტორნადო (საყრდენი კედლების რეაბილიტაცია), ნიუპორტის ქუჩაზე ღვარსადენი (127 მილიონი), ცენტრალური სამუსიკო სკოლა, რომლის ტენდერი წელს გამოვაცხადეთ და შეიძლება ითქვას, რომ სამუშაოების 2/3 შესრულებულია, ავტომშენებლის გამზირზე ფასადების რეაბილიტაცია(23 000 ლარი). რაც შეეხება 2023 წლის ანგარიშს- დაფინანსების მოცულობა გვაქვს 9,600 მილიონი, რეგიონალური განვითარების ფონდიდან საგზაო ინფრასტრუქტურა-2 ობიექტი-5 მილიონი, სპორტული ინფრასტრუქტურა 2 ობიექტი, სამუსიკო სკოლა-1.100 მილიონი, ფასადების რეაბილიტაცია 2ობიექტი, რეკრეაციული ინფრასტრუქტურა 1 ობიექტი, სადარბაზოების რეაბილიტაცია 26 ობიექტი-480 000 ლარი, კაპიტალური ტრასფერი 10 მილიონიდან: ტროტუარების რეაბილიტაცია 2 ობიექტი-2,700 მილიონი, სპორტული ინფრასტრუქტურა-2 ობიექტი, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა 1 ობიექტი, ურბანული განახლება-12 ობიექტი-3.700

მილიონი, რეკრეატიული ინფრასტრუქტურა-1 ობიექტი, სტიქიით დაზარალებულებს გავუწიეთ დახმარება, გადავეცით მასალები მოქალაქეებს, მოვახდინეთ მადლიერების სახლის ნაწილობრივ გადახურვა."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი ბატონი **კობა გურული:** „ხომ არ გაქვთ ინფორმაცია რამდენი განცხადებაა შემოსული ლიფტების საკითხზე, რამდენია მოგვარებული და რამდენი მოლოდინის რეჟიმში?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ანტონ ჩიხლაძე:** „მიმდინარეობს ლიფტების ე.წ. შეკეთება, მაგრამ მგონია, რომ ეს საკმარისი არ არის, ფინანსები იხარჯება და საბოლოო ჯამში მოსახლეობა მაინც უკმაყოფილო რჩება, 100 პროცენტით ვერ გვარდება სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელი პრობლემა, აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ უფრო სწორი იქნება წელიწადის განმავლობაში ავიღოთ პირობითად 4 კორპუსი და მთლიანად შახტით, მექანიზმით, ვაგონით, რელსით სრულად მოხდეს გამოცვლა, მართალია დრო დასჭირდება მაგრამ ეს უფრო მოიტანს შედეგს."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია თბილისში არის სამსახური, რომელიც დებს დასკვნას, არის თუ არა ესა თუ ის ლიფტი გამოსაყენებლად ვარგისი, თუ არ არსებობს შესაბამისი სერთიფიკატი, მაშინ ლიფტის ექპლოატაციაში მიღება დაუშვებელია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას, ძირითადი პასუხისმგებლობის საკითხში წვლილი უმეტესად მიუძღვის მოქალაქეებს, ნებისმიერ რეაბილიტაციის პროცესს წინ უძღვის პროექტი და ამ პროექტის მიხედვით ხორციელდება სამუშაოები, პროექტის შესყიდვის და ექსპერტიზის ნაწილი უშუალოდ ამხანაგობის პასუხისმგებლობაა, ამის შემდეგ ერთვება უკვე ინფრასტრუქტურის სამსახური და იწყებს რეაბილიტაციის პროცესს, ამიტომ ვფიქრობდით, რომ თანხის აკრებისა და ექსპერტიზის ჩატარების ვალდებულება ამხანაგობის მაგივრად გადმოგვცემოდა ჩვენ, მათ დაეკისროთ, როგორც პროექტის შესყიდვის და წარმოდგენის ვალდებულება, ასევე შემდგომში ექსპლუატაციაში მიღებისა და მოვლა-პატრონობის ვალდებულებაც.მე რამდენადაც მქონდა კომუნიკაცია მოქალაქეებთან ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველას ინტერესი იყო, რომ ამხანაგობის მიერ გასაწევი ხარჯი რაიმე ფორმით შემცირდეს, ეს რეალურად იწვევს იმ პრობლემას, რომ მთელი რიგი კორპუსები რეალური საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. გამომდინარე აქედან კარგი იქნება მომავალი წლისათვის ამ პროგრამის ფარგლებში ვიზრუნოთ ჩემს მიერ ხსენებული ცვლილებების განხორციელებაზე. ერთის მხრივ ეს გააძლიერებს ინტერესს და გაზრდის ჩართულობას ამ პროგრამაში და მეორეს მხრივ- ხელმისაწვდომს გავხდით უფრო მეტი კორპუსი ჩაერთოს ამ პროგრამაში."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „არის ამ პროგრამაზე თანხა გამოყოფილი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „კი, ამ ეტაპზე განსაზღვრულია 300 000 ლარი, თუმცა აქვე დავამატებ, რომ წინა წელს გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება არ მოხდა ზუსტად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოსახლეობამ ვერ შეძლო თანადაფინანსებაში მონაწილეობა. მართალია, საბოლოო მიზანი უნდა იყოს მოქალაქეების დიდი ინტერესი და ჩართულობა მის მოვლა-პატრონობაზე, მაგრამ რეალობა რთულია და ფინანსური სახსრების არ არსებობის გამო მოქალაქეთა ნაწილი რჩება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „როდის იწყებთ ორმოულების შეკეთებას?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ანტონ ჩიხლაძე:** „ორმოულები გვქონდა ორი სახის, ერთი ასფალტის და მეორე- ბეტონის საფარით, ამ ეტაპზე რისი შესაძლებლობაც არის ბიუჯეტში, შემოვდივართ ქალაქის ტერიტორიაზე, გვაქვს პრობლემები წყალმომარაგების კომპანიასთან, რომელიც ხშირად აზიანებს გზის საფარს და შემდეგ არ იღებს პასუხისმგებლობას მის შეკეთებაზე."

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „ეს პრობლემა უკვე ქრონიკულად მოედო ქალაქს, წყალმომარაგების კომპანია გადათხრის რაღაც მონაკვეთს და იწვევს რიგ პრობლემებს, რომელიც მოუგვარებელი რჩება თვეების განმავლობაში, ხომ უნდა არსებობდეს რაღაც მექანიზმი ქალაქის მხრიდან ზედამხედველობისა, რაც აღკვეთს ასეთ თვითნებობას?"

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „არის თუ არა გეგმაში რაიმე ახალი პროექტის შესყიდვა ქალაქის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხიდან?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ანტონ ჩიხლაძე:** „ძირითადად შექმნილი პრობლემებისა და მოქალაქეთა მომართვიანობის საფუძველზე შესაძლოა ეტაპობრივად შეძენილ და განხორციელებულ იქნეს."

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ჩემი ინტერესი ძირითადად შეეხება იმ საკითხს, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი ჩვენი ჩართულობა პროექტების არჩევის პროცესში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ანტონ ჩიხლაძე:** „აუცილებლად ერთად გავივლით პროექტებს."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8 წევრი, თავი შეიკავეს ბატონებმა გიორგი კილაძემ და გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N353 განკარგულებაში, კერძოდ, ამოღებულ იქნას ნუსხიდან 140,311,314,331, 403, 438, 451, 453, 454 და დაემატოს 461-467 პუნქტები თანდართული რედაქციით. ქონების ამოღება ხორციელდება იმ მიზეზით, რომ გასხვისდა და შესაბამისად ნუსხის ჩამონათვალში აღარ იქნება, ხოლო რაც შეეხება დასამატებელ ქონებას, ეს არის ზვიად გამსახურდიას გამზირი N2/36 1026 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N16 ა-ს ჩრდილოეთით 3785 კვ.მეტრი, ავტომშენებლის გამზირი N52ბ, ავტომშენებლის N52ბ-თან

გვერდით არსებული ნაკვეთი, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა მე-8 შესახვევი N15-ის სამხრეთით (466 კვ.მ), ჰერმანგ მაინერის ქუჩა N2 აღმოსავლეთით, ყოფილი მწვანე ბარის ტერიტორია."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „მწვანე ბართან დაკავშირებით მაინტერესებს, როდის დაიდო და როდის გაუვიდა იჯარის ხელშეკრულებას ვადა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „ძალიან დიდი ხნის წინ არის ეს ქონება ძველ მეპატრონეზე იჯარით გადაცემული და ასევე საკმაოდ დიდი ხნის გასული აქვს ხელშეკრულებას ვადა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:**„სამართლებრივად ანგარიშვალდებული თუ იყო ქალაქის თვითმმართველობასთან და იხდიდა თუ არა იჯარას აქამდე?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „არანაირი ვალდებულება არ გააჩნია და თანხასაც დიდი ხანია აღარ იხდიდა ქალაქის ბიუჯეტში. ამჟამად შეფასებულია 350 500 ლარად სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ და გადავწყვიტეთ შევიტანოთ ნუსხაში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „მე არ ვიცი განმცხადებლის ვინაობა, მაგრამ რა ინტერესი გააჩნია?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „განცახდებაში დაკონკრეტებული არ არის ამ პიროვნების სამომავლო გეგმები, თუმცა უწერია რომ დაინტერესებულია შეძენით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ძალიან დასაფიქრებელია, შესაძლოა ამ სუბიექტმა იქ ბინათმშენებლობის განზრახვით შეიძინოს აღნიშნული ქონება და ამას ჩვენ ვერ გავაკონტროლებთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:**„ჩვენ ვერ შევზღუდავთ მესაკუთრეს, აუქციონი იქნება უპირობო."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, პირველი და მთავარი, როგორც თქვენ აღნიშნეთ,

გაურკვეველი ვადის განმავლობაში მფლობელი ახდენდა ბიზნესსაქმიანობას, აბსოლიტური სამართლებრივი ვალდებულების გარეშე, შესაბამისად ამ სუბიექტისგან ქალაქს შემოსავალი არ მიუღია, ახლა შემოდის განცხადებით, შეისყიდოს ეს კონკრეტული სუბიექტი, არ ვიცი რა შეიძლება განახორციელოს მან ამ ადგილზე. მეორე-ჩემი აზრით არსებობს გონივრული საფრთხე ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე კონკრეტული ბიზნესსუბიექტი კონკურენციის პირობებში მოიგებს აუქციონს და სხვა ფუნქციით დატვირთავსამ ადგილს. ვფიქრობ, ამ კონკრეტულ საკითხზე მუნიციპალიტეტმა ყველა სამსახურთან ერთად უნდა იმსჯელოს და გარკვეული წინადადება შემნოიტანონ, რაც ეხელა პირობით აუქციონის შემოტანას და შემდეგ ასეთი ტიპის აუქციონით მოხდეს ამ ქონების გასხვისება. პირობითად, შესაძლოა შეძენილ ქონებაზე მესაკუთრემ მოინდომოდ საცხენოსნოს ან ფერმის გაკეთება, ხელს ვერ სევუშლით. ტურისტული ინფრასტრუქტურის ნაწილში კარგი იქნება ჩამოყალიბდეს პირობა სოციალური სივრჩის, ეკო სივრცის და არამაღალსართულიანი შენობის მშენებლობის კუთხით."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე**:„აბსოლუტურად გეთანხმებით ბატონო ირაკლი, ეს მეტად სერიოზული საკითხია და მოითხოვს პასუხისმგებლობით მოკიდებას."

კომისიის საერთო გადაწყვეტილებით ნუსხის დანართიდან ამოღებულ იქნეს ჰერმანგ მაინერის ქუჩა N2 აღმოსავლეთით, ყოფილი მწვანე ბარის ტერიტორია და აღნიშნული რედაქციით ეყაროს კენჭი საკითხს.

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8 წევრი, თავი შეიკავეს ბატონებმა გიორგი კილაძემ და გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა წარმოდგენილი შენიშვნის გათვალისწინებით და აღნიშნული რედაქციით წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებვულოს 2023 წლის 29 მარტის განკარგულებაში, კერძოდ, გეგმიდან ამოღებულ იქნას N116, 153, 173, 183, 185 პუნქტები, ხოლო გეგმას დაემატოს N203-213 პუნქტები თანდართული რედაქციით."

საკითხთან დაკავშირებით იგივე შენიშვნის გარდა, რაც გულისხმობს გეგმის ჩამონათვალიდან N212 პუნქის ამოღებას, დამატებითი შენიშვნა არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8 წევრი, თავი შეიკავეს ბატონებმა გიორგი კილაძემ და გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა წარმოდგენილი შენიშვნის გათვალისწინებით და აღნიშნული რედაქციით წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), ოჯარის

ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ იოსებ ხახალეიშვილს „სილქნეტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით(სასყიდლით/პირობებით) იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში ჩამოთვლილი გარეგანათების კონსტრუქციის ბოძების, 5 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, წლიური ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და აუდიტორული კომპანია „ალსუს" შორის გაფორმებული N57 ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც შეადგენს 165 ლარს."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის

ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეტლინკისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეტლინკისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე პავლე ასათიანისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 თებერვლის N360 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით/პირობებით), იჯარის ფორმით მოქალაქე პავლე ასათიანისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა ახალი გარემოება, კომისიის სახელზე შემოსულია მოქალაქის განცხადება, რომელიც აღნიშნავს, რომ განცხადებაში ნახსენები კონსტრუქცია პრობლემებს ქმნის, მოქალაქე წინააღმდეგია ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტისა და მე მაქვს წინადადება საკითხი გადავდოთ სამომავლო განხილვისათვის მისი ძირეულად შესწავლის მიზნით, გავიდეთ ადგილზე, დავათვალიეროთ და შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ვეთანხმები ბატონი ამირანის მოსაზრებას, შევხვდეთ ორივე მხარეს, მოვუსმინოთ, შევისწავლოთ და მივიღოთ ოპტიმალური გადაწყვეტილება."

კომისიის წევრი, ბატონი **კობა გურული:** „ყველა მოვხვდებით ამ ტერიტორიაზე და ობიექტურები რომ ვიყოთ ყველამ კრიტიკული თვალით შევხედოთ, შევისწავლოთ, დავათვალიეროთ და სამომავლოდ მივიღოთ დასაბუთებული გადაწყვეტილება."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ამის გარდა შემოსულია მოქალაქის საჩივარი, განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წესით, ბატონმა ირაკლი გიორგაძემ მოიწვიოს ორივე მხარე, მოუსმინოს, გამოიტანოს გადაწყვეტილება, დაწეროს დასკვნა და ამასობაში ჩვენც შევისწავლით საკითხს ძირეულად და მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე პავლე ასათიანისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 თებერვლის N360 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" გადადებულ იქნეს სამომავლო განხილვისათვის, მისი ძირეულად შესწავლის მიზნით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „შპს „პარკინგსერვისისათვის" ხდება 33 ერთეული ადგილის დამატებით გადაცემა, საპარკინგე ადგილების მოწყობის მიზნით."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **კობა გურული:** „კიდევ ერთხელ გავახმოვანებ მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნას და შევეხები მოუწესრიგებელ პარკირების სისტემას ე.წ. „სტაიანშიკების" თემას, არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ მხოლოდ ცარიელი სიტყვები დაგვრჩეს ნათქვამი, მინდა განვახორციელოთ რაიმე სახის ღონისძიება აღნიშნულთან დაკავშირებით."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „მინდა ვითხოვო ვიცე მერთან და სხვა კომპეტენტურ პირებთან ერთად დავსხდეთ მუშა პროცესში, განვიხილოთ გზები აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად და მოსახლეობის გაღიზიანება არ გამოვიწვიოთ ცარიელი სიტყვებით."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან

დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8 წევრი, თავი შეიკავეს ბატონებმა გიორგი კილაძემ და გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მერვე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის N377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საკითხი მდგომარეობს შემდეგში, განკარგულება გამოსულია და ხელშეკრულებაც დადებულია, უბრალოდ განკარგულების გამოსვლასა და ხელშეკრულების დადების თარიღს შორის იყო 4 თვე სხვაობა, განკარგულებაში ვადის ათვლა და იჯარის თანხის გადახდა მითითებული იყო განკარგულების გამოსვლიდან და ახლა შედის ცვლილება, რომ ვადის ათვლა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8 წევრი, თავი შეიკავეს ბატონებმა გიორგი კილაძემ და გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის N377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეცხრე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „ავტომშენებლის N32-ში, შენობის პირველ სართულზე არის 73 კვადრატული მეტრის ფართობის კინგბოქსინგის სავარჯიშო დარბაზი, რომელიც აქამდე გაიჯარებული გვქონდა მესამე პირზე, ვინაიდან და რადგანაც ამ პიროვნებას არ მოუმართავს განცხადებით იჯარის ხელშეკრულების გაგრძელების მოთხოვნით, ამ ფართს გადავცემთ სპორტის ააიპ-ს უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე-9 წევრი, წინააღმდეგი ბატონი გიორგი კილაძე) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეათე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „ჯანდაცვის ააიპ-ს გადავცემთ ავტომობილს „მერსედეს ბენცი" პირადი სარგებლობისათვის."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეათე საკითხთან

დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე-9 წევრი, თავი შეიკავა ბატონმა გიორგი კილაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი